<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აგვისტო 2022 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ნატალია სამქანაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ნატალია სამქანაშვილის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X:497309 Y:4616170
სარეკომენდაციო გზათა ქსელი
X:497232 Y:4615757
X:497271 Y:4615731
X:497246 Y:4615738
X:497279 Y:4615719
X:497249 Y:4615686
X:497277 Y:4615703
N
1:3,000

ნატალია სამქანაშვილი

(1950 – 2008)

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში მოვალეობის შერულების დროს გარდაცვლილთა შორის არის ერთადერთი ქალი- ნატალია სამქანაშვილი. ნატალია სამქანაშვილი მუშაობდა ჯარების ლოჯისტიკურ სარდლობაში, როგორც მომსახურე პერსონალი. სამსახურებრივ მოვალეობას გორის სამხედრო ნაწილში ასრულებდა. დაიღუპა მოვალეობის შესრულებისას სამხედრო ნაწილის რუსული ავიაციის მიერ დაბომბვის შედეგად.

ნატალია სამქანაშვილის შვილის მონათხრობით ოჯახი თავდაპირველად ვლადიკავკაზში ცხოვრობდა. ოსურ-ქართული დაპირისპირების შემდეგ იძულებულნი გახდნენ საცხოვრებლდ გორში გადმოსულიყვნენ.

ნატალია სამქანაშვილი 2008 წლის 9 აგვისტოს, გარდაცვალების დღეს, ომის მიმდინარეობის პირობებში, ექსტრემალური წესით გორის სასაფლაოზე დაკრძალეს.